პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 აპრილი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი • № 89 (14085)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. ქარხნის კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა პირველი კვარტალი და ახლა მთელი ძალით იბრძვის ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე და დროულად შესრულებისათვის. აქაური თუჯისა და ფოლადის სხმულზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი რესპუბლიკის ჩარხსამშენებლო და მანქანათსამშენებლო ქარხნებში.

ქარხანაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევს მეფოლადე დიმიტრი ჩილოშვილი, რომელიც წინასამაისო ვახტზე დგას და ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: დ. ჩილოშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი იდეების ძლევამოსილება

საბჭოთა ადამიანები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილებას „საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეჯავშრებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ“.

ამ პლენუმის გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს, კიდევ უფრო მიზანსწრაფული გახადეს კომუნისტების, საბჭოთა ადამიანების იდეური ცხოვრება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის მითითებას იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება. თანამედროვე იმპერიალიზმი, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურებთან ერთად, სულ უფრო აძლიერებს ძირგამომთხრელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მთელი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. ამიტომაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს შეურიგებელ ბრძოლას მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის ხრიკების გადაჭრით მხილებას, პარტიის წევრებისა და ყველა შრომელის კომუნისტურ აღზრდას, პარტიის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერებას. ახლა ეს ამოცანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ ამოცანათა შორის, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას.

„...იდეოლოგიური ბრძოლა, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XIX კონფერენციაზე, — ჩვენს დროში კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფორმაა. ამ ბრძოლაში არ შეიძლება პოლიტიკური გულგრილობა და პასიურობა, ნეიტრალიზმი იმ მიზნების მიმართ, რომლებსაც ისახავს მტერი. ჩვენი პარტია მუდამ გვაფრთხილებდა, რომ იდეოლოგიის დარგში არ შეიძლება მშვიდობიანი თანაარსებობა. ისევე როგორც არ შეიძლება კლასობრივი ზავი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის“.

მართალია, იმპერიალისტური იდეოლოგია ვერ მოესწრება იმას, რომ შეარყიოს ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მაგრამ იგი ცდილობს თავისი შხამით მოწამლოს ცალკეული ადამიანთა ჯაფუფების კლასობრივი შეგნება. იმპერიალიზმის იდეოლოგიის ანკესზე ხშირად ეგებიან მორალურად მერყევი, პოლიტიკურად მოუფიქრებელი ადამიანები, რომელთაც თვალს სჭრის კაპიტალისტური რეკლამა და უყვართ უურნალური „ამბების“ გამრავლება, ლაყბობა. სავსებით კანონიერია, როცა ასეთი პირების მოქმედება, რომელთაც მტერი მოუყვარხვალ ვერ გაურჩევიათ, ჩვენი საზოგადოებრიობის მკაცრი განსჯის საგანი ხდება.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები შეუდგნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილების ფართო ახსნა-განმარტებას. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია.

პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური დაწესებულებების, ყველა კომუნისტის ძირითადი ყურადღება გადატანილ უნდა იქნას მშრომელთა იდეური წრთობისაკენ. აქტიურად უნდა ვამხილოთ ანტიხალხური, რეაქციული არსი ბურჟუაზიული იდეოლოგიის — თანამედროვე იმპერიალიზმის ამ ბინძური მსახურისა. საჭიროა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტრულ პროპაგანდას, ვაწარმოოთ ყოველდღიური შეტევითი ბრძოლა იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს სიცრუეში გახვიოს ხალხთა შეგნება, ჩირქი მოსცხოს შეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკას.

მუდამ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა აქტიური, ქმედითი, წარსულის გადმონაშთებთან შეურიგებელი იყოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილების განმარტებისა და შესწავლისათვის მთელი მუშაობა უნდა წარიმართოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად. ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება, მაღალი ქმედითობა და ეფექტიანობა მთავარი მოთხოვნაა იდეოლოგიურ მუშაობაში.

ჩვენმა პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა, პოლიტინფორმატორებმა, პოლიტკომენტატორებმა, იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკმა არა მარტო უნდა განმარტონ სინამდვილის ფაქტები და მოვლენები, არამედ ხელი შეუწყონ კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაჭრასაც, ფართო პროპაგანდა გაუწიონ კომუნისტური შრომის ნოვატორთა თაოსნობას, საწარმო-ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებას, გეგმების შესრულებას, მახების შრომითი და პოლიტიკურ აქტივობას სამშობლოს სახახელოდ.

იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები, რომლებიც დასახულია პლენუმის გადაწყვეტილებებში, შეიძლება წარმატებით შეავასრულოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ავამოქმედებთ იდეოლოგიური ფრონტის ყველა საშუალებას. ამ საქმეში შეუწყნარებელია შაბლონი და ერთფეროვნება. ცხოვრება მტკიცედ მოითხოვს, რომ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ნაცადი, პრაქტიკით შემოწმებული და ქმედითი ფორმები შეხამებული იყოს ახალ ფორმებთან.

ლიტერატურა, პრესა, რადიო, ტელევიზია, მხატვრული თვითმოქმედება, კინო — ყოველივე ეს უნდა ემსახურებოდეს დიად მიზნებს — პარტიის იდეები ვრცელდებოდეს მახებში ნათლად და გასაგებად, აღვიძებდეს აზრს, უნერგავდეს საბჭოთა ადამიანებს დიდ სიყვარულს საბჭოთა სამშობლოსადმი, სიამაყეს იმ დიადი მიღწევებისათვის, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უნერგავდეს პატრიოტიზმს, მხურვალე მისწრაფებას — იშრომოს შემოქმედებით და თავდადებით.

პარტია მოგვიწოდებს, რომ კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება იდეოლოგიური მუშაობის ახალი აღმავლობის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ფართო პროპაგანდის მძლავრი სტიმული უნდა გახდეს.

ავიყვანოთ იდეოლოგიური მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე — ასე დააყენა საკითხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მისი წარმატებით განხორციელებისათვის ყოველ პარტიულ მუშაკს, ყოველ პროპაგანდისტს მოეთხოვება გამოიჩინოს მაქსიმუმი ენერგია და ინიციატივა, მოსაზრებულობა და უნარი. საჭიროა ავამაღლოთ ორგანიზატორული მუშაობის დონე, პარტიული პროპაგანდის მდიდარი გამოცდილება გავზიაროთ ყველა პარტიული ორგანიზაციის კუთვნილება.

დროშა გამარჯვებულს

ახმეტა. ბარაქიანი იყო საიუბილეო წელი ახმეტელი მევენახეებისათვის. უამინდობის მიუხედავად 8.355 ტონის ნაცვლად მათ სახელმწიფოს 11.705 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდეს.

მოპოვებული წარმატებებისათვის ამ დღეებში ახმეტელ მევენახეებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცათ. რაიონის მოწინავე მევენახეთა შეკრებაზე, რომელიც ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ალ. ბაკურაძემ** გახსნა, შრომელებს მთავრობის მაღალი ჯილდო მიეულოცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. გელდიაშვილმა**, სოფლის შეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტის მმართველმა **ვ. მირიანაშვილმა**. ზ. გელდიაშვილმა გარდამავალი დროშა გადასცა საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის მეორე მდივანს **ც. ებელაშვილს.**

დაკვალება ვადამდე

კასპი. (საკ. კორ.). ქარხანა „კასპელექტროაპარატი“ ახალგაზრდა საწარმოა, მაგრამ თავისი პრდუქციით შორს გაითქვა სახელი. აქ დამზადებული ელექტრომაგნიტური სადგურები საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც იგზავნება. ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა მიმდინარე წელს, გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა.

გეგმით გათვალისწინებული მილიონ 400 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია მილიონ 458 ათასი მანეთის პროდუქცია. რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 104,1 პროცენტით.

მასალების ეკონომიურად ხარჯვით და სხვა საშუალებებით მარტო იანვარ-თებერვალში პროდუქციის თვითღირებულება 3 პროცენტით შეამცირეს.

ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

15 აპრილს ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომა.

სხდომა განიხილავს **1968** წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიათა მოსაპოვებლად წარდგენილ ნამუშევრებს. ნამუშევრების გაცნობისა და განხილვის შემდეგ კომიტეტი გამოავლენს იმ კანდიდატურების სიას, რომლებიც დატოვებულ არიან კონკურსში შემდგომი მონაწილეობისათვის.

საკადესის ცნობა

მეორე ავტომატური შეპირაპირება ორბიტაზე

1968 წლის 15 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-213“, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას და კოსმოსური აპარატების კონსტრუქციების ახალი სისტემებისა და ელემენტების შემოწმებას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,16 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 291 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 205 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 51,4 გრადუსი.

13 საათსა და 21 წუთზე მოსკოვის დროით განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს-213“-ისა და 1968 წლის 14 აპრილს გაშვებული თანამგზავრის „კოსმოს-212“-ის ავტომატური შეპირაპირება ორბიტაზე.

დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრებმა „კოსმოს-212“-მა და „კოსმოს-213“-მა, რომლებიც აღჭურვილი არიან დაახლოების სპეციალური სისტემებით, რადიოტექნიკური და საანგარიშო-ამოსახსნელი მოწყობილობებით, ავტომატურად მოძებნეს ერთმანეთი, დაახლოდნენ, ერთმანეთს მიადგნენ და ხისტად შეპირაპირდნენ.

შეპირაპირებული აპარატურების სატელევიზიო გამოსახულებას, აგრეთვე ტელემეტრიულ ინფორმაციას დედამიწაზე გადმოსცემდნენ თანამგზავრების სატელევიზიო დანადგარები და ტელემეტრიული სისტემები.

ხისტად შეპირაპირებული ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-212“ და „კოსმოს-213“ განაგრძობენ ერთად ფრენას ორბიტაზე. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, თანამგზავრების სისტემები და აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ეს არის საბჭოთა კოსმოსური აპარატების მეორე ავტომატური შეპირაპირება ორბიტაზე. ავტომატურ შეპირაპირებას დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმოსური სივრცის ათვისებისათვის.

აკადემიის უფლებანი წმიდათაწმიდაა

15 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიმართა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მ. ჩსკვადამ წაიკითხა მოხსენება „სსრ კავშირის ბრძოლა დემოკრატიისათვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის თანამედროვე ეტაპზე“.

კონფერენციაზე გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს თვითნებობაზე, რასაც რასისტები ხმადიან, მხოფლიოს პროგრესული ადამიანებისა და მეცნიერების ბრძოლაზე ადამიანის ელემენტარული უფლებებისათვის, თავისუფლებისათვის.

მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი!

15 აპრილს სამტრედიაში გაიმართა ჩაის მრეწველობის მუშაკთა და მეჩაიეობის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **რ. ფრუიძემ.**

მოხსენება — ჩაის მრეწველობის მუშაობის შედეგები საიუბილეო წელს და ნედლეულის მიღებისა და მაღალხარისხოვანი გადამუშავების უზრუნველყოფის ამოცანები ხუთწლედის მესამე წელს — გააკეთა რესპუბლიკის კავების მრეწველობის მინისტრმა **ვ. ვადაჭკორიამ.**

არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, თქვა მომხსენებელმა, რესპუბლიკის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 222 ათასი ტონა ნედლეული, 22 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ჩაქართველოს ჩაის ტრესტის საწარმოებმა 102,6 პროცენტით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა, დაკალების გადამუშავების გამოუშვეს 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. შესრულებულია ჩაის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ჩაის მასალისა და ეფიერის ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების დაკალები.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს წელი მახარაძის № 1, ხელვაჩაურის, ბობოყოათის, ქობულეთის № 1, ნატანებისა და ,,თელმა რიგმა სხვა ჩაის ფაბრიკებმა, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს ხმამაღალი დროშა.

შემდეგ ვ. ვადაჭკორიამ გააანალიზა საქართველოს ჩაის ტრესტის საწარმოთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და მთავარი ყურადღება დაუთმო მზა ჩაის ხარისხის საკითხებს. რესპუბლიკის მრეწველობამ ვერ შეასრულა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის წარმოების გეგმა. შავი ბაიხაო ჩაის ასორტიმენტში უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის ხვედრითი წონა გეგმით გათვალისწინებული 61,3 პროცენტის ნაცვლად 49,4 პროცენტს შეადგენს. მწვანე ბაიხაო ჩაის ასორტიმენტში ეს მაჩვენებელი აგრეთვე უფრო ნაკლებია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ,,ჩაქართველოს ჩაის ტრესტის საწარმოებმა 102,6 პროცენტით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა, დაკალების გადამუშავებით გამოუშვეს 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. შესრულებულია ჩაის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ჩაის მასალისა და ეფიერის ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების დაკალები.

ჩაის მრეწველობის ხელმძღვანელები ყოველთვის ხელი ასრულებენ მოთხოვნებს ნედლეულის ხარისხისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ამით აიხსნება, რომ ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ეერიზმობენ მიმართავენ ჩაის კრეფის დროს და ფაბრიკებს აბარებენ გაცალებით მეტ ნედლეულს, ვიდრე საწარმოთა სმენლაკვირი არის გათვალისწინებული. ამის შედეგად დიდალი ჩაის ფოთოლი ფუჭდება და ფაბრიკები ამუშავების დროს არღვევენ ტექნოლოგიურ პროცესს, ამცირებენ დამუშავების ცალკეულ ეტაპებიანი, რომ ასეთი გზით მიღებული პროდუქცია დაბალი ხარისხის იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ფაბრიკები ყოველთვის პრინციპულად როდი უდგებიან მიღებული ნედლეულის შეფასებას, არღვევენ სტანდარტის მოთხოვნებს.

მომხსენებელმა ჩამოთვალა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას. უწინარეს ყოვლისა ყველგან უნდა აღადგინონ ჩაის ფოთლის გამორჩევითი და განუწყვეტელი კრეფა. უნდა გაუმჯობესდეს ნედლეულის შენახვა და ფაბრიკებში გადატანა, რათა არ დარღვეს ღლისა და ღამის საათებში ფაბრიკების დატვირთვის რიტმი.

ხშირად ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა აუარესებს მზა ჩაის ხარისხს. სწორედ ამ მიზეზით არ შესრულდა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა ხაბუმის, ტყიბულის, მამათის, ქოჩრისა და სხვა ჩაის ფაბრიკებში.

ამას წინათ სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები. დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. კოლეგიამ განიხილა აგრეთვე ჩაის გადამუშავების სეზონისათვის საწარმოთა მომზადების საკითხები. მიმდინარე სეზონში პირველად ამუშავდება გონიოსა და ჩორხატურის № 3 ჩაის ფაბრიკები, რომლებიც დღეისათვის გადამუშავებენ 108 ტონა ნედლეულს. ამ ფაბრიკების ამუშავება საშუალებას მოგვცემს, დაბუნოთ ნედლეულის რიტმული გადამუშავება არა მარტო ბათუმისა და ჭიათურის, არამედ აგრეთვე მეზობელ ქობულეთის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ის ფაბრიკა, რომელიც მომზადებულად ხვდება ჩაის გადამუშავების სეზონს, აღვილად ართმევს თავს ჩაის ნედლეულის ჭარბ მოწოდებას, მაღალ ტექნიკურ დონეზე ამუშავებენ ნედლეულს სეზონის დაწყების წინ.

მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები უკმაყოფილონი არიან ავტოტრანსპორტის მუშაობით. ხშირი იყო შემთხვევები, როცა დღის პირველ ნახევარში ფაბრიკებში მიჰქონდათ ნედლეულს მხოლოდ 30-40 პროცენტი, დანარჩენი ნაწილი კი დღის მეორე ნახევარში. ეს იწვევდა ავტომანქანების რიგს ჩაის ფაბრიკებთან. ნედლეულის გაფუჭებას, ფაბრიკის დანადგარების გადატვირთვასა და მუშაობის ტექნოლოგიური პროცესების დარღვევას. მიზანშეწონილი იქნებოდა ავტოტრანსპორტი ფოთლის გადასაზიდად ჩაის ფაბრიკებისათვის გადაგვიცა.

ამ ბოლო დროს სერიოზული მუშაობა გაწეული პროდუქციის გაფორმების გაუმჯობესებისათვის. მაღაზიებსა მიიღს 23 სახელწოდების ახალ სახეობათა პროდუქცია და სუფენირები.

ფართოდ სრულდება ქართული ჩაის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის ღონისძიებანი. ამ დღეებში საქართველოს მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ ჩაის კვირეულში. ამას წინათ მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში 14-18 მაისს მოაწყოს ქართული ჩაის დღეები. მალე გადაწყდება საკითხი, რომ მოსკოვში გაიხსნას ჩაის სახლი. ასეთი სახლები გაიხსნება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. მეჩაიეებმა და ფაბრიკების მუშებმა მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ეს საშუალებას მოგვცემს უმოკლეს გადაში გადავწყვიტოთ დიდძალმნიშვნელოვანი საკითხი, გავაუმჯობესოთ ქართული ჩაის ხარისხი.

ამასთან დაკავშირებით ყოველმხრივ მრუსწორია მახარაძის რაიონის მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა მიმართვა. მახარაძელთა პატრიოტული ინიციატივა ფართო მხარდაჭერას პოვებს.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **მ. ფოლადერიძემ.** მან გააანალიზა, თუ როგორ მიმდინარეობდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა გასულ წელს და დაწერილებით შეეხო ახალ სეზონში მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა ამოცანებს.

საიუბილეო წელს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 4.300 კილოგრამი, აჭარის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების ცალკეულ მეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 5 ათასამდე კილოგრამი ჩაი. კარგად იშრომეს აგრეთვე ანუხაზეთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ცხაკაიასა და სხვა რაიონების მეჩაიეებმა.

სამწუხაროდ, თქვა მომხსენებელმა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის წარმოების ზრდასთან ერთად მცირდება მზა პროდუქციის ხარისხი. ეს ნაკლი ხდება, თუ თვალყურს გავადევნებთ წლების მიხედვით უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის ხვედრით წონას საერთო წარმოებაში. ამის მიზეზია არა მარტო ამ ბოლო წლების არახელსაყრელი კლიმატური პირობები, არამედ მთელი რიგი სხვა სერიოზული გარემოებანიც. მთავარია ჩაის კრეფის დროს შრომის არაუსტვი ორგანიზაცია. ხდება ისე, რომ ერთ ნაკვეთზე მეჩაიეები კრეფენ უხეშ ფოთოლსაც, მეზობელ ნაკვეთში არ დადიან ათ-ათი დღე, და ბუჩქზე ამოსული ფოთოლი უხეშდება. ბევრი მეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის კარგად მოწყობილი მიმღებით პუნქტებით, რაც ავრეთვე იწვევს მოკრეფილი ფოთლის გაფუჭებას.

მეჩაიეობაში საჭიროა შრომის ზუსტი ნორმირება. სწორი ჩრ არის მბალი სეზონის მანძილზე გადამუშავების ერთიანი ნორმებისა. პრაქტიკა. ეს იწვევს იმას, რომ მაშინ, როცა არ არის ჩაის კრეფის სეზონი, ნორმების შესრულებისათვის უხდიან უხარისხო ფოთლის მოკრეფა, რაც ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს ნედლეულის საერთო ხარისხზე.

ქართული ჩაის მაღალ ხარისხისათვის ბრძოლაში დიდი სოფლის მეურნეობის საუკეთესოა მეურნეობა სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ე. ბერიძე,** წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის „ოლმეურნეობის მეჩაიე **ც. ქორკოტაძე,** წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ჩავჩიძე,** საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველი **ო. აბესაძე,** პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ა. თოიძე,** თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორი **მ. სარჯველაძე,** საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი **თ. დავითაშვილი,** დიდი ჭრაიშელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე **ნ. უგრელიძე,** ენგურის ჩაის ფაბრიკის დირექტორი **ლ. გოგუა.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ჭანუყვაძემ.** (საქლესი).

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალის შედეგები და დასახა მომდინარე წლის დავალებათა წარმატებით განხორციელების ღონისძიებანი.

თათბირი გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **რ. ფრუიძემ.**

დამკვრელური ტემპი — კაპიტალურ მშენებლობას

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა ტრესტების მმართველები, „საქმონტაჟსპეცმშენის“ უფროსი **ა. განგია,** საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის და ხისლამუშაებელი მრეწველობის მინისტრი **ვ. ვარაზაშვილი,** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე **ვ. გეჯაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ჩიხლაძე.**

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **რ. ფრუიძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ლოლაშვილი** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლაბახუა.**

მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი!

ჩაის მრეწველობის მუშაკთა და მეჩაიეობის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა თათბირი



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იტყობინებს, რომ გარდაეცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან

სურენ სელრაძის-ძე არაქელოვი

და დიდ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მჭიდრო ხასიათი

თებერვლის ზემოთ, ამწისკვეშა ლიანდაგზე, მძიმედ მიცურავს ხიდური ამწე — ვაგონის გოგორწყვილი გასინჯვის ადგილზე მიაქვს. ჩვენს გვერდით კი მოძრაობს კონვეიერის დაუსრულებელი ლენტი, რომელიც ნაკადულს გვაგონებს: წარმოებს ვაგონის უფრო წვრილმანი დეტალების — ბუჩქების, ავტომუხრუჭების მოწყობილობის და სხვათა აწყობა რემონტის შემდეგ.

თბილისს სავაგონო დეპოს ვაგონების აწევითი რემონტის საამქროში ვართ.

ამ ფართო და ნათელი საამქროს შუაში დგას მაღალი, საფეთქლებშეფერცხლილი კაცი. მასთან ხშირად მიდიან ლურჯსპეცტანსაცმლიანი ადამიანები. ბარშემო გუგუნია და არ გვესმის რაზე ლაპარაკობენ ისინი, მაგრამ ვხედავთ. ეს ადამიანი აქ მთავარია, და ყველა მას მიმართავს რჩევისათვის, მითითებისათვის, ახალ დავალებათა მისაღებად.

ასეც არის, ეს ალექსანდრე რეხვიაშვილია, სავაგონო დეპოს მთავარი ინჟინერი, ყველა იმ შესანიშნავ გარდაქმნათა სული და გული, რომლებიც აქ უკანასკნელ ხანებში მოხდა. აქ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ვაგონების რემონტის პროგრესული მეთოდი, რომლის განხორციელება შესაძლებელი გახდა ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით.

მაგრამ ამის შესახებ მოკლედ ვერ იტყვი. უნდა დავიწყოთ იმით, თუ რაგორ წარმოებდა დეპოში სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის — ვთქვათ, ერთი წლის წინათ, რა სიძნელეებს აწყდებოდნენ მევაგონეები და როგორ სძლევდნენ მათ.

ასე იყო. ვაგონები, რომლებიც შესაკეთებლად მოდოდათ აწევითი რემონტის საამქროში, დიმკრატებით აჭედნდათ წინასწარ მომზადებულ ბოძკინტებზე. მათ ქვეშიდან ხელით გამოაგორებდნენ გოგორწყვილებს, ხსნიდნენ ურიკებს და ჩარჩოებს, ასევე ხელით ყველაფერი ეს მიჰქონდათ ფსიქნაზე ტალახისა და მაზოთისაგან გასაწმენდად. გასახინჯად და შესაკეთებლად. ხოლო შემდეგ, ისევე ხელით, მოძრავ შემადგენლობაზე დაყენების ადგილას.

ძნელი იყო? რა თქმა უნდა. ვაგონის ბევრი ეს ნაწილი და კვანძი ასსა და ორასს კი არა, ზოგჯერ 600-800 კილოგრამსაც იწონის. ერთი და ორი მუშა ასეთ სამძიმეს ვერ მოერევა. უნდა ჭყოლოდათ 10-15 კაცისგან შემდგარი დამხმარე ნუშამ» ბრიგადა, ეს კი არც ხელსაყრელია და არც მოსახერხებელი.

ადამიანები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მიდიოდნენ პარტიულ კომიტეტში. უჩიოდნენ წარმოების ცუდ ორგანიზაციას, კუსტარულობას. ვაგონები, — ამბობდნენ ისინი, — სადგურებში, მოძრაობაში უნდა იყონ, ტვირთები უნდა გადაეჭედნდეთ. — ეს კი ასე არ არის. ისინი 8-10 დღეკამეს დგანან დეპოში შეკეთების მოლოდინში, აუარებელი თანხები ნიავდება.

სამართლიანად ჩიოდნენ. დეპოს ხელმძღვანელობა იღებდა თუ არა ზომებს, რომ უკეთ მოეწყო საქმე? დიახ, იღებდა. ბევრი შრომატევადი პროცესი „მომჩივანთა“ მოთხოვნით მექანიზებულ იქნა, საამქროში გამოჩნდნენ ტელევიზორი — მძიმე ნაწილების მისატანად რემონტის გასაკეთებელ უბნებზე, შეძენილ იქნა გაუმჯობესებული კონსტრუქციის დომკრატები — ვაგონების ძარების ასაწევად, გაკეთდა სტენდები — ავტომუხრუჭების გამოსაცდელად. შრომა შემსუბუქდა, მაგრამ არა იმდენად, რომ დამშვიდებულიყვნენ. კომუნისტების მთავარი საზრუნავი კვლავ იყო შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია, რკინიგზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესება.

საუბარი, რომელიც დეპოს მთავარ ინჟინერთან ალექსანდრე რეხვიაშვილთან აწევითი რემონტის საამქროში დავიწყეთ, პარტიულ კომიტეტში გავაგრძელეთ. პარტკომის მდივანმა გიგი კაკაჩიამ გაგვაცნო ვაგონების რემონტის პროგრესული ტექნოლოგია, გვიამბო ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში კომუნისტების წვლილზე და შეჩერდა იმ სიძნელეებზე, რომლებიც მათ ხვდებოდათ და რომლებიც დაძლიეს.

— ჯერ კიდევ შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის ჩვენი ლაშქრობის დასაწყისში, — ამბობს ამბ. კაკაჩია, — ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი ჩვენი ზეინკალი. არ დავახასიათებ, რომელი იყო. იგი მაშინ სცდებოდა, მაგრამ ურწმენოს, ვერ მივაკუთვნებდით. მოწინავე მუშა იყო, კარგი შემსრულებელი. მოვიდა ერთხელ და მეუბნება: ამხანაგო გიგი, ძნელ საქმეს შეეჯიდეთ, ვერ დაძლევთ, 20 წლია ვაგონების შეკეთებაზე ვმუშაობ და ვერ წარმომიდგენია მექანიზმი, გარდა ხელებისა, რომლის დახმარებით შეიძლებოდეს გოგორწყვილების გამოგორება ვაგონის ქვეშიდან. ასეთი მექანიზმი არ არსებობს და არა მგონია მისი კონსტრუირება შესაძლებელი იყოს.

შემდეგ უფრო დაჯერებულად დაასკვნა, ვაგონების აწევა შეიძლება, ამისათვის არსებობს კარგი ამწე მექანიზმები. სამუშაო ადგილზე ძალიან მძიმე ნაწილის მიტანაც შეიძლება — ამისათვის არსებობს მრავალფეროვანი თვითმავალი ამწეები. მაგრამ გოგორწყვილის გამოგორება ხელით უნდა ხდებოდეს, ძნელია, მაგრამ რას იზამ...

— ჩემი ოპონენტი თითქოს მართალიც არის, — ღიმილით განაგრძობს ამბ. კაკაჩია. — მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო ასეთი მექანიზმი. რა უნდა მეპასუხა? მას რომ დავთანხმებოდი, ეჭვის ქვეშ უნდა დამეყენებინა ის დიდმნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც კომუნისტებმა ხელი მოკიდეს. ვიფიქრე და, ჩემი აზრით, დამაჯერებლად ვუპასუხე. წინათ ბევრს ეჩვენებოდა, რომ ჩვის ფოთლის ჭრაც შეუძლებელი იყო ხელის შრომის გამოუყენებლად-მეთქი. მაგრამ ადამიანებმა შექმნეს ჭკვიანი მანქანა „საქართველო“, და ჩაის პლანტაციებში საქმე ახლა სულ სხვანაირად მიდის.

დრომ გვიჩვენა, რომ პარტკომის მდივანი მართალი იყო. მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი. მოდით გავეცნოთ პარტიული კრებებისა და პარტიული კომიტეტის სხდომების ოქმებს, რომელთა მიხედვით თანდათანობით გავადევნებთ თვალს პარტიის წევრთა დიდ და გულმოდგინე ორგანიზატორულ მუშაობას, რომლებმაც გადაწყვიტეს მოეხდინათ შრომატევადი პროცესების რაც შეიძლება ფართო მექანიზაცია, მეცნიერულ საფუძველზე წარიმართათ საქმე.

ლეპოზის, ერთ-ერთი პარტიული კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა სინიციატივო ჯგუფი, რომელმაც ხალხისით იკისრა წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებული უველა სიძნელის აღმოფხვრა. მასში შედიან ზეინკლები დ. ჩიხლაძე და ა. არჩვაძე, ბრანდავი რ. გვარამაძე და სხვები. მათი წინადადებით ხელმძღვანელობა ამუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც მოქმედების ასპარეზს უფართოებენ ადამიანებს: აიძულებენ უფრო ღრმად ჩასწვდნენ ეკონომიკას, უფრო ფართოდ გაშალონ რაციონალიზატორული მუშაობა, გამდიდრდეს ებრძოლონ ნაკლოვანებებს.

გავიდა რამდენიმე ხანი, და კომუნისტებმა მოინდომეს უფრო მეტი — დეპოს უფროსის წინაშე დაეყენეს საკითხი ვაგონების აწევითი რემონტის საამქროს რეკონსტრუქციის შესახებ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს. შეიქმნა ეკონომიური ანალიზის ბიურო და დამპროექტებელთა ჯგუფი, რომლებსაც დაეფალა შემუშავებინათ სათანადო დოკუმენტაცია და დისპანსერიზაციით აწევითი რემონტის საამქროს რეკონსტრუქციის და დამხმარე ობიექტების მშენებლობის აუცილებლობა.

პარტკომს, ნოვატორებს თვალსაჩინო აგიტაცია ეხმარება. ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ლოზუნგები: „ერთი ვაგონის შეკეთების ერთი საათით დაჩქარება — ეს თვეში 20 ვაგონზე მეტია სახალხო-სამეურნეო ტვირთების დამატებით გადაზიდვისათვის“. ან „კარგად შეკეთებული ვაგონი — ეს მატერიალების ათასობით კილომეტრი ზეგეგმიანი გარბენაა, მათი მაღალი ნარმადობა“.

მასების შუაგულში მიდიან პოლიტინფორმატორები — ბრიგადირები გიორგი ხუროშვილი, ჯემალ რუსიშვილი, ბორის ეუტინი და სხვები. მათი საუბრები ადამიანებთან კონკრეტულია, საწარმოს საჭიროებებს ეხება და ამიტომ ყველასათვის მისაწვდომია.

დასამახსოვრებელია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს თავმჯდომარის ი. პუტკინის საუბარი თემაზე „რაციონალიზატორული მუშაობა და გამომგონებლობა წარმოების ინდუსტრიალიზაციის უპირველესი საფუძველია“ და დეპოს მთავარი ინჟინრის ა. რეხვიაშვილისა — „შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას ცხოვრება გვიკარნახებს“.

სკკპ XXIII ყრილობის წინ, პარტიული კრებებისა და პარტკომის სხდომების, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის ოქმებში გაჩნდა ახალი სტატუები და განსაზღვრანი: „მოსკოვის დეპოს გამოცდილება ახალი ნაბიჯია რკინიგზის ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესის მისაღწევად“. ჩვენ ეს ბევრს არაფერს გვეუბნებოდა, და დეპოს მთავარ ინჟინერს ვთხოვეთ განემარტა, რას წარმოადგენს ეს გამოცდილება, რით არის დასაფასებელი, რატომ ეკუთვნა მას ამდენი უურადღება.

— სწორედ ამ დროიდან დაიწყო ჩვენთან ყველაფერი, — ამბობს ამის პასუხად ამბ. რეხვიაშვილი. — დასავლეთ ციმბირის რკინიგზის მოსკოვის სავაგონო დეპოს ნოვატორებმა ჩვენს ქვეყანაში პირველებმა განახორციელეს მოძრავი შემადგენლობის რემონტი ინდუსტრიულ საფუძველზე. ესე იგი, არსებითად. ნამდვილი ტექნიკური რევოლუცია მოახდინეს სავაგონო მეურნეობაში. თავდაბერველად ჩვენც კი ვერ დავიჯერეთ ეს. ჩვენთან ხომ საქმე ეხებოდა ყველაზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, აწევითი რემონტის საამქროს ნაწილობრივ რეკონსტრუქციას, და უეცრად ცხადდება, რომ არის დეპო, სადაც სარემონტო სამუშაოთა მთელი ციკლი ნაკადზეა გადაყვანილი, სადაც სრულყოფილმა მექანიზმებმა და ავრეგატებმა მთლიანად შეცვალეს ხელით შრომა, და მათ პულსთან მჭიდრო ერთი ადამიანი მართავს.

— გადავწყვიტეთ წავსულიყავით მოსკოვის დეპოში და ყველაფერი საკუთარი თვალით გვენახა. გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენი წარმომადგენლები აქ ყველაფერმა განაცვიფრა. ნაკადური ხაზი სავაგონო მეურნეობაში — ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენი იყო. ამიტომ არაფერი არ არის გასაკვირველი იმაში, რომ, როცა შორეული ჩრდილოეთის მაგისტრალიდან დაბრუნდნენ, მათ ერთხმად განაცხადეს: უნდა იქნეს თბილისის მოსკოვკა!

ლა ეი დავდიოართ თბილისის სავაგონო დეპოს აწევითი რემონტის საამქროში. გვაკვირებს ყველაფერი, რასაც აქ ვხედავთ. ეს საამქრო ქარხნის ტიპისაა. ამწისკვეშა ლიანდაგზე დაძაბულად გაიარა ხიდურმა ამწემ, რომელმაც ვაგონის ჩარჩო გაატარა. სწაფად, თითქოს ხაფეიქრო მაქოაო, რა თქმა უნდა, არა თავისი ოდენობით, ვაგონქვეშ „შეიოცდა“ მოაბიჯულატორი, გაშალა თავისი „საცეცები“ და ადგილად გამოაგორა გოგორწყვილი, რომლის წონა ერთ ტონას აღწევს, რელსებზე გააგორა და სარეცხ მანქანასთან მიიტანა. რამდენიმე წუთში გოგორწყვილი იქ მაზუთისა და ტალახისაგან გაიწმინდება, შემდეგ კი, უკვე ხიდური ამწის დახმარებით, მას სარემონტო ობიექტზე მიტანენ.

ამ საამქროში ყველაფერი მექანიზებულია და ყველაფერი მოძრაობას იწყებს სამართავ პულტზე ღილაკისათვის თითის დაჭერებით. ამას აკეთებს ოპერატორი, რომელიც ზის პატარა ჯიხურში საამქროს ბოლოს, საიდანაც კარგად მოჩანს ყველა საწარმოო უბანი, მექანიზმები და აგრეგატები.

ყოველივე ამას ნუთუ იოლად მიაღწიეს თბილისელმა მევაგონეებმა? სრულებითაც არა. საჭირო გახდა გადალახვა დიდი სიძნელენი, ჩაებარებინათ არაერთი გამოცდა. აწევითი რემონტის საამქროს არსებითად ახლად აშენდა. ხან მშენებლები ფირზდებოდნენ, ხან დროზე არ მოდიოდა მოწყობილობა. საჭირო ხდებოდა განგაშის ატეხა, ხუროებისათვის, მებეტონეებისათვის დახმარების გაწევა, მოწყობილობის მომწოდებელ ქარხნებში ყოფნა, მოწყობილობის დატვირთვა-გადმოგზავნის დაჩქარება. გადამწყვეტ უბნებზე შეიქმნა საკონტროლო საგუშაგოები, რომლებიც უხიზნად ადევნებენდნენ თვალს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ხარისხს. ამ საქმეში დიდი წელილი შეიტანეს სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებმა.

ვინ არიან ეს მეტაც ხასიათის ადამიანები, რომლებიც სიძნელეებს არ ერიდებოდნენ, დახვეწებას არ დაგიდევდნენ და დიდი ოკტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში გაიმეორეს მოსკოვის დეპოს კოლექტივის შრომითი გმირობა?

ესენი არიან მშენებელთა ჯგუფის ოსტატი ე. მატინოვი, ზეინკლები დ. ჩიხლაძე და ა. არჩვაძე, ელექტროგაზშემდუღებელი ხ. კარაპეტიანი, მრანდავი რ. გვარამაძე, საამქროს ოსტატი მ. ხატეღლა, დეპოს მთავარი ინჟინერი ა. რეხვიაშვილი და ბევრი სხვა.

... ამას წინათ თბილისის სავაგონო დეპოში ეკონომიური კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე შეჯამებულ იქნა ახალ პირობებში საწარმოს მუშაობის შედეგები. თუ წინათ, პროგრესული ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვამდე, აქ თვეში 300 ვაგონს უკეთებდნენ რემონტს, ახლა რემონტი ვაგონის შეკეთების თვითღირებულება თითქმის 5 მანეთით შემცირდა. ერთიორად გადიდდა საწარმოს შემოსავალიც.

ვ. მაისურაძე.

დავაჩქაროთ თესვა

დათესილია 55.030 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

აპრილში საგაზაფხულო თესვისათვის ხელსაყრელი ამინდებია. რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებიც იბრძვიან თესვის აგროტექნიკური ვადების დამთავრებისათვის. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 8 აპრილის ცნობებით სულ დათესილია 55.239 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გეგმით კი უნდა დათესოს 375.949 ჰექტარი.

წინასწარმეტყველია სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა **წითელწყაროს** რაიონი, რომელსაც თესვის გეგმა შესრულებული აქვს 60,5 პროცენტით, **ლენინის** რაიონში თესვის დავალება შესრულებულია 43,2 პროცენტით, **საგარეჯოს** რაიონში — 43,1 პროცენტით, **ქარელის** — 39,6 პროცენტით, **სიღნაღის** — 37,7 პროცენტით, **გურჯაანის** — 36,9 პროცენტით, **გარდაბნის** — 35,4 პროცენტით, **ახალციხის** — 31 პროცენტით, **ხაშურის** — 27 პროცენტით, **წალკის** — 25,6 პროცენტით, **თეთრი წყაროს** რაიონში — 31,7 პროცენტით.

მთელ რიგ რაიონებში თესვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამას მოწმობს ფაქტები. მაგალითად, **თელავის** რაიონში გეგმით უნდა დათესოს 2.945 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, 8 აპრილისათვის დათესილი იყო გეგმის 11,6 პროცენტი. მართალია, თელაველები 2.348 ჰექტარზე სმინდოს თესავენ. მაგრამ აგროვადებით თესვა მათ 30 აპრილისათვის უნდა დაამთავრონ. ეს დროც მოახლოდა. ღღებული ტემპი კი მეტად დაბალია. **ყვარლის** რაიონში თესვის გეგმა შესრულებულია 9,6 პროცენტით. სიმინდი უნდა დათესონ 3.941 ჰექტარზე. თესვის დამთავრების ვადა კი 25 აპრილია.

განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს სიმინდის თესვის ტემპი. წელს რესპუბლიკაში უნდა დათესოს 193.335 ჰექტარი სიმინდი. აქედან სამარცვლედ — 128.984 ჰექტარი. 8 აპრილისათვის დათესილი იყო 5.814 ჰექტარი. **ლაგოდეხელებმა** გეგმით უნდა დათესონ 4.068 ჰექტარი, დათესილია მხოლოდ 1ბრელი ჰექტარები, თესვა კი 25 აპრილისათვის უნდა დამთავრდეს.

სიმინდის თესვაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა **გურჯაანის, ამბროლაურის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის** რაიონებში. ამ რაიონებში თესვის დამთავრების აგროტექნიკური ვადაა 20-30 აპრილი.

სამარცვლე სიმინდის თესვა უნდა დაჩქარდეს **წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის** რაიონებში, ამ რაიონების მხვნელ-მთესველებს უნდა გავახსენოთ, რომ თესვა უნდა დაამთავრონ 1 მაისამდე. **აფხაზეთის** ას. რესპუბლიკაში სამარცვლე სიმინდი გეგმით უნდა დაითესოს 16.168 ჰექტარი. დათესილია მხოლოდ რამდენიმე ასეული ჰექტარი. თესვის დამთავრების ვადა 1 მაისია.

